მდგრადი განვითარების ESG ფაქტორები ტურისტულ ბიზნესსა და საგანმანათლებლო პროგრამებში

კონსტანტინე აბულაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის ხელმძღვანელი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.13

ა ბ ს ტ ა ქ ტ ი

კვლევის მიზანია ტურისტულ ბიზნესში, ESG (Environment, Social, Governance) ფაქტორთა აქტუალიზაციისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ტურიზმის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციის ხელის შექყობა, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენების გზით.

სტატიაში წარმოდგენილია ბიზნესში მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენების მოკლე რეტროსპექტივა, ESG-ფაქტორთა თანაფარდობის მნიშვნელობა, როგორც ბიზნესის ეკონომიკური პრაგმატიზმისა და სოციალური პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობა. განსაზღვრულია ტურიზმის სპეციალისტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში მდგრადი განვითარების ფაქტორთა გამოყენების მიმართულებები.

ამ მხრივ, ჩვენ ქვეყენეში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: დაკვირვების, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფების, თვისობრივი ინფორმაციის ანალიზის, საპროგნოზო კვლევის ექსპერტული.

დასკვნა:

- მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც თანაბარი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს.

- უმაღლეს განათლებას, სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური მთლიანობის, ეკონომიკური ზრდისა და გლობალური კონკურენციის მხარის დაჭერის თვალსაზრისით.
- არსებობს წინააღმდეგობები განათლების თანამედროვე სისტემის ფორმირების აუცილებლობასა და ტურიზმის სპეციალისტთა მომზადების, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ აკადემიურ პროგრამებს შორის.
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზდების ყველაზე პერსპექტული მიმართულებაა მათი პროფესიონალური უნარებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ცვლილებათა კონტექსტში.

კვლევის შედეგი: შემოთავაზებულია ახალი, ტურიზმის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით პერსპექტული სპეციალობები, აკადემიური დისციპლინები და მოკლე სასწავლო კურსები.

საკვანძო სიტყვები: ESG (Environment, Social, Governance) ფაქტორები, ESG და მდგრადი განვითარება, ESG და ბიზნესი, ESG და განათლება, სტეიქჰოლდერების კონცეფცია, დაინტერესებულ მხარეთა თეორია, უნივერსიტეტის მესამე მისია

A b s t a c t

The purpose of the study is to promote the actualization of ESG (Environment, Social, Governance) factors in the tourism business and the modification of the educational programs of the tourism specialty of Georgian higher education institutions, through the application of the principles of sustainable development.

The article presents a brief retrospective of the application of the principles of sustainable development in business, the importance of the ratio of ESG factors as a necessary prerequisite for economic pragmatism and social responsibility of business. Directions for the use of

sustainable development factors in educational programs for the training of tourism specialists are defined.

In this regard, in order to study the current situation in our country, the following research methods have been used: observation, interview, focus groups, qualitative information analysis, expert forecasting research.

Conclusion:

• Sustainable development is possible only in conditions where equal attention is paid to ecological, social and economic problems.

• Higher education, scientific research and innovation are crucial for social integrity, economic growth and global competitiveness.

• There are contradictions between the necessity of forming a modern system of education and the training of tourism specialists, academic programs focused on sustainable development.

• The most promising direction of training highly qualified specialists is the transformation of their professional skills and functions in the context of economic, social and environmental changes.

Research result: new, promising specialties, academic disciplines and short training courses in terms of sustainable development of tourism are proposed.

Keywords: ESG (Environment, Social, Governance) factors, ESG and sustainable development, ESG and business, ESG and education, stakeholder concept, stakeholder theory, the third mission of the university.

ამჟამად ფართოდ გავრცელებული ცნება „მდგრადი განვითარება“, გაეროს უკვე კარგად ცნობილი, 17 მიზნითაა განსაზღვრული. აბრევიატურა „ESG“ (Environment, Social, Governance) გავრცელდა 2004 წლიდან, როდესაც გაეროს მაშინდელმა

გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა, შესთავაზა ბიზნესმენებს მისი გამოყენება ბიზნეს-სტრატეგიებში.

ESG - ბიზნესის წარმოების ინოვაციური წესია, რომელიც გულისხმობს გარემოსადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ESG-ის შემადგენელი პარამეტრები, როგორც კომერციული, ასევსე არაკომერციული ორგანიზაციების მდგრადობისა და პასუხისმგებლობის შეფასების კრიტერიუმებადაა გამოიყენებული.

ხშირად, ESG-ის აღიქვამენ, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორთა აბრევიატურას, მაგრამ ეს ორი ცნება განსხვავებულია:

- მდგრადი განვითარება ფილოსოფიაა, რომელიც აღწერს ზოგად იდეებს, ტრენდებს, კონცეფციას.
- ESG კი, თანამედროვე ბიზნესის წარმოების წესებისა და მიდგომების კრებულია.

უმაღლესი განათლების ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის ESG სტანდარტები და რეკომენდაციები მიღებულია განათლების მინისტრების მიერ, დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრესთან თანამშრომლობით. მათ შორისაა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), სტუდენტთა ევროპული კავშირი (ESU), უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო ორგანიზაციების ევროპული ასოცოაცია (EURASHE) და უნივერსიტეტების ევროპული ასოციაცია (EUA).

უმაღლესი განათლების სისტემაში დაინტერესებულ მხარეთა თეორიის პოპულარობის ზრდა XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. ამჟამად დარგით დაინტერესებულია ნებისმიერი, ვისაც აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სხვა კანონიერი ინტერესი და, შესაბამისად, სისტემის საქმიანობაში ჩარევის უფლებაც. ჩვეულებრივ, დაინტერესებულ პირთა შორის არიან დამსაქმებლები, 1975 წელს კი, დაინტერესებულ მხარედ პირველად აღიარეს სტუდენტები.

ევროპაში დაინტერესებულ მხარეთა რიცხვის ზრდა განაპირობა უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემაზე გადასვლამ, რომელშიც პირდაპირი სახელმწიფო კონტროლი მონიტორინგმა ჩაანაცვლა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად, მოწინავე უნივერსიტეტების საქმიანობაში სულ უფრო მეტად ვლინდება მათი მესამე მისია - სოციალური და რეგიონალური განვითარების ცენტრების ფუნქცია. ამ მისიის რეალიზაცია კი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წარმატებით გაართმევენ თავს პირველ და მეორე მისიას - განათლებასა და კვლევებს.

განათლება მდგრადი განვითარების დარგში, გულისხმობს ცოდნის გადაცემის ტრადიციული საგანმანათლებლო მოდელიდან, დამოუკიდებელ აზროვნების, მოფიქრების, ინფორმაციის აღქმის ფორმატზე გადასვლას, სტუდენტთა აქტიურ ჩართვას ცოდნის გენერირების პროცესში. ამგვარი კონცეფცია კი, მოითხოვს საგანმანათლებლო მეთოდიკებისა და მოდელების აქტუალიზაციას, მათ შორის, ტურიზმისთვის კადრების მომზადების დარგში.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერტთა გამოკითხვამ და ინტერვიუებმა, გამოკვეთა ტურიზმის მდგრადი განვითარების დარგში განათლების შემდეგი ძირითადი პრობლემები:

1. ტურიზმის კონცეფტოლოგების და ტექნოლოგების კადრების მომზადება;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების პროგრამებში მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის ინტეგრაციის განსაზღვრა;
3. ტურიზმის სპეციალისტებზე მოთხოვნასა და მათი მომზადების პროცესს შორის ბალანსის განსაზღვრა;
4. ტურიზმის მდგრადი განვითარების სპეციალისტთა მომზადების ერთიანი სტანდარტის შემუშავება;
5. ტურიზმის მდგრადი განვითარების დარგში ახალი მიდგომების გამოყენების აუცილებლობა;
6. მდგრადი განვითარებისა და ESG დარგში კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა;
7. სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობა ზოგადი და განსაკუთრებით კი, ტურისტული განათლების სისტემაში ESG პრინციპების გამოყენების პრობლემებზე.

8. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ ESG პრინციპების გამოყენების მნიშვნელოვანი პრობლემა დარჩენილია მკვლევართა ყურადღების მიღმა.

ვინაიდან საქართველოში ESG-სტრატეგიის დანერგვას ტურიზმის ბიზნესში აფერხებს აუცილებელი ცოდნის დეფიციტი, საბაკალავრო აკადემიურ პროგრამებში გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ისეთი თანამედროვე დისციპლინების გათვალისწინება როგორებიცაა: *ტურიზმის მდგრადი განვითარების სახელმწიფო მართვა; ეკო-ტექნოლოგიები და ტურიზმის მდგრადი განვითარება; ტურისტულ საწამოთა ESG-ინვესტირება; ტურიზმის გლობალური მდგრადი განვითარება.*

სამაგისტრო პროგრამებში გასათვალისწინებელია: *ფინანსები და მდგრადი განვითარების სტრატეგიები ტურიზმში; საქართველოს ტურისტულ საწარმოთა ESG-ტრანსფორმაცია; ტურისტული კომპანიის მდგრადი განვითარების მართვა.*

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების შეთავსება. მსოფლიოს წამყვან ტურისტულ ქვეყნებში მკაფიოდ გამოიკვეთა მდგრადი განვითარების თემის ინტეგრირების პროცესი ბიზნეს-სკოლების, დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლების, უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროდუქტებში.

ამ მიზნით ევროპის ქვეყნების სამაგისტრო პროგრამებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის საათების საერთო რაოდენობის 15-30% (რეგიონების ტურისტული პოტენციალის მიხედვით).

უკვე რამდენიმე წელია, რაც კვლევითი ორგანიზაცია „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი“, რომელსაც მე წარმოვადგენ, დაინტერესდა, თუ რა კონკრეტული უნარები და კომპეტენციებია საჭირო ტურისტულ საწარმოთა მართვის მუშაკებისთვის. ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, მათ შორისაა:

- კონტექსტური ორიენტაცია ტურიზმის მდგრადი განვითარების დარგში (არა მხოლოდ საბაზო ცნებები, არამედ კონცეფციები, სტანდარტები და სხვ.);
- სტრატეგიული აზროვნება (ტრენდების, მიზნების, რისკების განსაზღვრა, პრობლემისადმი სისტემური მიდგომა);

- დარგის სპეციფიკის ღრმა გააზრება (არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება; კომპლექსური პროექტების, მომსახურების ოპერაციული ფუნქციების კოორდინირება;
- ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური გარემოს შეფასების უნარი;
- ინოვაციურობა (ახალი ტურისტული პროდუქტების შემუშავების ტექნოლოგია);
- დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნის მაქსიმალური გათვალისწინება.

საქართველოში ტურიზმის ახლო პერსპექტივები. სტუმართმასპინძლობის სექტორი კვლავაც შეინარჩუნებს არსებით პოტენციალს. შემდგომი ზრდის შესაძლებლობაა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, აგრეთვე ნაკრძალებში, დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში.

სატრანსპორტო სისტემების განვითარება, კიდევ უფრო გაზრდის მოგზაურთა მობილურობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფერო აღმოჩნდება ტურისტული ნაკადების, ტურისტთა მოთხოვნის ზრდისა და ამავე დროს, შუამავალთა რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევების წინაშე. ეს კი გამოიწვევს მომსახურების პროცესების ავტომატიზაციას; ახალი ტექნოლოგიების შემოღებას. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, გაუქმდება ტურისტული მომსახურების ზოგიერთი ტრადიციული პროფესია.

არჩევნის მრავალფეროვნება, ბუნებრივია, გაზრდის ტურისტთა მოთხოვნას, შექმნის ტურისტული მომსახურების ახალ ფორმატებს და კასტომიზაციის შესაძლებლობებს (ტურისტული პროდუქტის სახეცვლილება ჯგუფების ან ინდივიდების მოთხოვნათა გათვალისწინებით).

ამრიგად, ახლო მომავალში დაგვჭირდება შემდეგი სპეციალისტები:

- ტურისტული ინტელექტუალური სისტემების;
- ტურ-ნავიგატორები, ტურისტული და სასტუმრო მომსახურების პროცესში გამოყენებული რობოტოტექნიკის, ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტები;
- საოჯახო ტურიზმის სცენარისტები;
- საგანმანათლებლო ტურიზმის კურატორი, რომელიც შეიმუშავებს ტურიზმისა და განათლების კომპლექსურ პროგრამებს;

- ტურისტული რეალობის შემავსებელი დიზაინერი - სპეციალისტი, რომელმაც, ტურისტული ადგილების მიმზიდველობის გაძლიერების მიზნით, ლანდშაფტის, ისტორიული და კულტურული რეალობის გათვალისწინებით, უნდა შექმნას კონკრეტული ტერიტორიის შემავსებელი კონტექსტი;
- და ბოლოს, ინდივიდუალური ტურების რეჟისორი - საავტორო ექსკურსიების სპეციალისტი.

ტურიზმში ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენების შედეგად ტრადიციულ ტუროპერატორთა რიცხვის თანდათანობით შემცირების პროცესში, მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ინდივიდუალური ტურების რეჟისორებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია.

აქ ძირითადი პრობლემაა, აუცილებელი კომპეტენციების ინტეგრირება საგანმანათლებლო დისციპლინებში. ჩემი აზრით, საწყის ეტაპზე ეს შესაძლებელია მდგრადი განვითარების დარგში მცირე, დამატებითი პროგრამების სახით. ვგულისხმობ, როგორც ტრადიციულ პროგრამებს, შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით დამატებითი განათლების შესახებ, ასევე იმ მცირე საგანმანათლებლო ფორმების - ვებინარების, ვიდეო-კურსების გამოყენებას, რომლებსაც არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა საკითხის ფუნდამენტური გააზრებისთვის.

ვფიქრობ, ESG-განათლების განვითარების ინიციატივა ბიზნესმა უნდა ითაოს. დროა, *ტურისტულმა საწარმოებმა ჩამოაყალიბონ მოთხოვნა უმაღლესი განათლების სისტემისადმი*, მდგრადი განვითარების პროცესების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის შესახებ. შრომის ბაზრის ამგვარი მოთხოვნის გამოვლენა, სახელმწიფოსთან ეფექტიანი თანამოქმედება უმაღლესი და დამატებითი განათლების დარგში შესაძლებელია მეცნიერებისა და ბიზნესის ერთობლივი საქმიანობით, საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით.

თავის მხრივ, მსოფლიოში ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სწრაფი ტრანსფორმაციის პირობებში, დროა დასრულდეს მრავალწლიანი რიტორიკა განათლების რეფორმირების შესახებ და განხორციელდეს არსებითი ცვლილებები,

შეიქმნას როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნესის და საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა დაკმაყოფილებისკენ მიმართული ქმედითი აკადემიური პროგრამები.

ლიტერატურა და წყაროები

1. Friedman, M. Milton Friedman on Economics: Selected Papers/ M. Friedman, G.S. Becker.// University of Chicago Press. 2007. p.191
2. Freeman, R.E., A Stakeholder Approach to Strategic Management /R. E. Freeman, J. F. Mcvea. // SSRN Electronic Journal. – 2001. https://www.researchgate.net/publication/228320877 (შესვლა საიტზე 10.10.1023)
3. Jones, T.M. Instrumental stakeholder theory: A synthesis of ethics and economics / Acad. Manage. Rev.1995. № 20 (2) pp. 404–437.
4. The Sustainable-Development Goals Report, 2020. https://unstats.un.org/sdgs/report/2020/ (შესვლა საიტზე 10.10.1023)
5. European Study 2016 // Eurosif. https://www.eurosif.org/news/eurosif-report-2016/ (შესვლა საიტზე 21.10.2023).